

შპს „წინანდლის კურორტი“

(ს/კ 404554068)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „წინანდლის კურორტი“ -ს („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31/12/2022	31/12/2021
ფული და ფულის ექვივალენტები	266,477	97,043
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	96,386	60,833
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-
მარაგები	90,928	84,807
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-
სულ მიმდინარე აქტივები	453,791	242,683
ძირითადი საშუალებები	8,739,520	9,044,907
სხვა არამატერიალური აქტივები	83,019	88,661
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,822,539	9,133,568
სულ აქტივები	9,276,330	9,376,251
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	437,489	342,596
სხვა ვალდებულებები	-	18,363
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	437,489	360,959
გრძელვადიანი სესხები	6,096,286	7,135,177
სულ გრძელვადიანი სესხები	6,096,286	7,135,177
სულ ვალდებულებები	6,533,775	7,496,136
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	4,116,691	4,116,691
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(1,374,136)	(2,236,576)
სულ საკუთარი კაპიტალი	2,742,555	1,880,115
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	9,276,330	9,376,251

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31/12/2022	31/12/2021
ფული და ფულის ექვივალენტები	266,477	97,043
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	96,386	60,833
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-
მარაგები	90,928	84,807
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	-
სულ მიმდინარე აქტივები	453,791	242,683
ძირითადი საშუალებები	8,739,520	9,044,907
სხვა არამატერიალური აქტივები	83,019	88,661
სულ გრძელვადიანი აქტივები	8,822,539	9,133,568
სულ აქტივები	9,276,330	9,376,251
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	437,489	342,596
სხვა ვალდებულებები	-	18,363
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	437,489	360,959
გრძელვადიანი სესხები	6,096,286	7,135,177
სულ გრძელვადიანი სესხები	6,096,286	7,135,177
სულ ვალდებულებები	6,533,775	7,496,136
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	4,116,691	4,116,691
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(1,374,136)	(2,236,576)
სულ საკუთარი კაპიტალი	2,742,555	1,880,115
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	9,276,330	9,376,251

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

28 სექტემბერი 2023წ

ელენე მაჭავარიანი



მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2022 წლის დასრულებული წლისთვის

	2022	2021
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	3,398,702	2,874,364
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	(763,107)	(593,414)
საერთო მოგება	2,635,595	2,280,950
დასაქმებულთა ანაზღაურება	(852,469)	(825,071)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(414,139)	(518,771)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,229,660)	(937,199)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,496,268)	(2,281,041)
საოპერაციო მოგება	139,327	(91)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(528,272)	(288,907)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	4,900	153,105
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	1 246 948	1,793
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	723,576	(134,009)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	862,903	(134,100)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	862.903	(134,100)

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28სექტემბერი 2023წ

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2022 წლის დასრულებული წლისთვის

	2022	2021
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	3,398,702	2,874,364
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	(763,107)	(593,414)
საერთო მოგება	2,635,595	2,280,950
დასაქმებულთა ანაზღაურება	(852,469)	(825,071)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(414,139)	(518,771)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,229,660)	(937,199)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,496,268)	(2,281,041)
საოპერაციო მოგება	139,327	(91)
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	(528,272)	(288,907)
სხვა არა საოპერაციო შემოსავალი	4,900	153,105
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	1 246 948	1,793
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	723,576	(134,009)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	862,903	(134,100)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	862.903	(134,100)

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ



კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	4,116,691	(2,236,576)	1,880,115
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
პერიოდის მოგება/ზარალი		(388,356)	(388,356)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(463)	(463)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	4,116,691	(2,625,395)	1,491,296

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	4,116,691	(2,236,576)	1,880,115
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
პერიოდის მოგება/ზარალი		(388,356)	(388,356)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(463)	(463)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	4,116,691	(2,625,395)	1,491,296

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(388,356)	(134,100)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	414,139	518,771
წმინდა საპროცენტო ხარჯები	528,272	288,907
<i>ცვლილებები:</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(126,615)	(45,980)
მარაგებში	(6,121)	(48,067)
მოკლევადიან ვალდებულებებში	379,960	25,245
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე	801,279	604,776
გადახდილი პროცენტი	(528,272)	(288,907)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	273,007	315,869
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების შეძენა	(103,110)	(257,749)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(103,110)	(257,749)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან	-	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	169,897	58,120
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	97,043	9,209
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(463)	29,714
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	266,477	97,043

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	(388,356)	(134,100)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	414,139	518,771
წმინდა საპროცენტო ხარჯები	528,272	288,907
ცვლილებები:		
საეჭრო და სხვა მოთხოვნებში	(126,615)	(45,980)
მარაგებში	(6,121)	(48,067)
მოკლევადიან ვალდებულებებში	379,960	25,245
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის და პროცენტის გადახდამდე	801,279	604,776
გადახდილი პროცენტი	(528,272)	(288,907)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	273,007	315,869
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების შეძენა	(103,110)	(257,749)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(103,110)	(257,749)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან	-	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	169,897	58,120
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	97,043	9,209
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(463)	29,714
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	266,477	97,043

შპს "წინანდლის კურორტი"

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ



1. შპს „წინანდლის კურორტი“ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

შპს „წინანდლის კურორტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, როგორც ეს განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. იგი დაფუძნდა 2018 წლის 1 მარტს „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“. დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 404554068. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენდა ფ/პ ირინე ერისთავი (პ/ნ 01018003440). კომპანიის დირექტორია ელენე მაჭავარიანი (პ/ნ 01017022070).

ძირითადი საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა სასტუმროს ბიზნესი. კომპანია წელიწადის ყველა პერიოდის განმავლობაში ქვეყნის შიდა და გარე მომხმარებელს სთავაზობს სასტუმროს მომსახურებას.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რუსთაველის გამზირი, N37, ხოლო საქმიანობას ეწევა შემდეგ მისამართზე: ქ.თელავის მუნიციპალიტეტი, ს. წინანდალი.

წარსადგენი ვალუტა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, როგორიცაა საქართველო, სწრაფ ცვლილებებს განიცდიან და მოწვევადია გლობალური ბაზრის პირობებისა და ეკონომიკური დადამსვლის მიმართ. შედეგად, საქართველოში ბიზნესი შეიძლება ისეთი რისკების წინაშე აღმოჩნდეს, რომლებიც, როგორც წესი, განვითარებულ ბაზრებზე არ არსებობს. ვითარდება სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საფუძვლები, თუმცა ისინი ცვალებად ინტერპრეტირებას და ხშირ ცვლილებებს განიცდიან, რაც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომლებიც საქართველოში მოქმედი კომპანიების წინაშეა. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ღონისძიებებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად. ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის წინასწარგანჭვრეტა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს რა გავლენა, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მას კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

Covid-19-ის გავლენა. 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყება. პანდემიის ზემოქმედების შესასუსტებლად საქართველოს მთავრობამ შესაბამისი ზომები მიიღო და დააწესა გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ, კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების აკრძალვა და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა შეზღუდვები. აღნიშნულ ზომებს უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდა ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესებზე, მათ შორის, კომპანიის ოპერაციებზე. შეზღუდვების შემსუბუქება 2021 წლიდან დაიწყო, ხოლო 2022 წლის პირველ კვარტალში ყველა შეზღუდვა მოიხსნა. შეზღუდვებმა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა კომპანიის ოპერაციებზე და, შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ შედეგებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

უწყვეტი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც, ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში, ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებათა დაფარვას. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული სიტუაციის ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

უცხოური ვალუტის გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. სავალუტო შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, მოგება-ზარალში აღიარდება ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯების სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, გადაიყვანება იმ თარიღით არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით, როდესაც განისაზღვრა რეალური ღირებულება. რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებულ არაფულად მუხლებზე სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა აღირიცხება რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის სახით.)

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თავდაპირველ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:	
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები/ძალადგანი მოწყობილობები	10
კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ინვენტარი	5
სპეციალური ინსტრუმენტები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბუღრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბუღრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ბაზარზე მარაგების სავარაუდო გასაყიდი ფასისა და გაყიდვის გარიგების დასრულებისათვის საჭირო ხარჯების სხვაობა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების

გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ზანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკუროს მოგება და საკუროს ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020
ლარი/1 ევრო	2.8844

ამჟამად ქართული ლარი არ არის ადვილად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს გარეთ.

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით.

მომსახურების რეალიზაცია

შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მომსახურების გაწევის დასრულების მომენტში.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შევებულებები და ავადმყოფობის გამო შევებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს. კომპანიას არა აქვს რაიმე საპენსიო ან მსგავსი დახმარების გადახდის კანონით გათვალისწინებული თუ კონსტრუქციული ვალდებულება. კომპანიას აქვს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება თანამშრომელთა დარიცხული ხელფასის 2%-ის გადახდის თაობაზე.

ჩათვლა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთრდოულად განხორციელების განზრახვა.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოყენების შემდეგ, ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაზე

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა, ძირითადად, მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარწმუნადი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნოლოგიური განვითარების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

5. მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

დასახელება	31 დეკემბერი 2022	31 იანვარი 2021
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	90,928	84,807
სულ მარაგები	90,928	84,807

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2022	31 იანვარი 2021
ლარი საბანკო ანგარიშებზე	265,344	92,776
ნაღდი ფული სალაროში	1,133	4,267
სულ ფული და ფულის ეკვივალენტი	266,477	97,043

7. შემოსავალი

2022 და 2021 წლებში შემოსავლები შედგებოდა:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,398,702	2,874,364
სულ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	3,398,702	2,874,364

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
ხელფასის ხარჯი	852,469	825,071
ცვთის ხარჯი	414,139	518,771
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1,229,660	937,199
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2,496,268	2,281,041

9. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

10. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაცანად.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტთან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიაშ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო დამფუძნებლებმა, საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

11. შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შპს „წინანდლის კურორტი“

დირექტორი

ელენე მაჭავარიანი

28 სექტემბერი 2023წ

